საკრებულოს იურიდიულ
საკითხთა კომისიის სხდომის
ოქმიN2

ქ.თერჯოლა
ან. ჭანტურიძის ქ. №7

04 თებერვალი 2025 წ

სხდომას უძღვებოდა: იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **ბიძინა ბუცხრიკიძე.**

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1.ბიძინა ბუცხრიკიძე, 2. ომარ ჯიხვაშვილი, 3. გიორგი ბარათაშვილი ,4. კობა კაცაძე, 5.ჯემალი ისაკაძე, 6.იზა მაგრაქველიძე; 7. ნინო ჩხიკვაძე ;

სხდომას არ ესწრებოდა: ნატალია ასათიანი, რუსუდან კოვზირიძე, დავით ცხადაძე, ეკა ბერძენიშვილი;

სხდომას ასევე ესწრებოდა: საკრებულოს აპარატის უფროსი ხათუნა ნიკოლაძე, იურისტი-ფიქრია ბუსკივაძე;

კომისიის სიითი შემადგენლობა: 11 წევრი.
კვორუმი: 6 წევრი.
დამსწრე კომისიის წევრთა რაოდენობა: 7 წევრი.

<u>კომისიის სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად'</u>

სხდომის თავმჯდომარემ **ბიძინა ბუცხრიკიძემ** კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ კვახჭირის მე-9 ქუჩისათვის გივი სახელაშვილის სახელის მინიჭების შესახებ;

/მომხს.ბ.ბუცხრიკიძე/

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 7, წინააღმდეგი-არცერთი;

<u>დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.</u>

<u>კომისიის სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად.</u>

1. მოისმინეს: მომხსენებელმა იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ კომისიის სხდომას გააცნო, რომ განსახილველად დაეწერა სოფელ კვახჭირის მაცხოვრებლების განცხადება(ინიციატივა)-სოფელ კვახჭირის მე-9 ქუჩისათვის 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპული გივი სახელაშვილის სახელის მინიჭების შესახებ, სადაც განმცხადებელი ითხოვს საკითხის გადაწყვეტისათვის კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი პროცედურების განხორციელებას.

მომხსენებლის განმარტებით, იურიდიულ საკითხთა კომისიამ უნდა შეისწავლოს განცხადების ფორმალური მხარე, დაადგინოს, რომ განცხადებაზე თანდართული დოკუმენტები სრულად არის წარმოდგენილი, რასაც ითვალისწინებს საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის N 239 დადგენილებით დამტკიცებული,, მუნიციპალიტეტის საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესი" და თუ დარწმუნდა, რომ წარმოდგენილი განცხადება პასუხობს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, უნდა დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება.

მომხსენებლის განმარტებით, კომისიის წინაშე წარმოდგენილია(ინიციატივას თან ახლავს) სოფელ კვახჭირის(ოდილაურის) მე-9 ქუჩის მოსახლეობის თანხმობა ამავე ქუჩისათვის გივი სახელაშვილის სახელის მინიჭების თაობაზე. თანხმობის ფურცელზე დატანილია მოსახლეობის ხელმოწერები პირადი ნომრის მითითებით, თან ახლავს სოფელ კვახჭირის მე-9 ქუჩის(მე-2 ჩიხის და პირველი შესახვევის) გავრცელების არეალის რუქა X და Y კოორდინატების მითითებით(ორთოფოტო), მადლობის სიგელი, ბიოგრაფიული ცნობები.

მომხსენებელმა, სხდომის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ კომისიას მიმართა, რომ პროცედურა ითვალისწინებს ადგილობრივ მოსახლეობასთან კონსულტაციის გამართვას და მიმართა შეკითხვით, როდის გაემართათ კონსულტაციები ადგილობრივ მოსახლეობასთან.

კომისიის წევრთა გადაწყვეტილებით იურიდიულ საკითხთა კომისია კონსულტაციებს გამართავს სოფელ კვახჭირის მოსახლეობასთან 2025 წლის 10 თებერვალს 14 საათზე.

აზრი გამოთქვეს: ყველა ერთხმად დაეთანხმა წარმოდგენილ ინიციატივას;

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 7, წინააღმდეგი-არცერთი;

გადაწყვიტეს:

მუხლი 1. გამართოს კონსულტაციები იურიდიულ საკითხთა კომისიამ სოფელ კვახჭირის (ოდილაურის) მოსახლეობასთან 2025 წლის 10 თებერვალს 14 საათზე მე-9 ქუჩისათვის 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპული გივი სახელაშვილის სახელის მინიჭების თაობაზე საქრთველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-12 მუხლის მე-6, მე-8 პუნქტების შესაბამისად.

მუხლი 2. კონსულტაციის გამართვის დროისა და ადგილის შესახებ ეცნობოს საკრებულოს აპარატს და საკითხის ინიციატორებს.

კომისიის თავმჯდომარემ იურიდიულ საკითხთა კომისიის 2025 წლის 04 თებერვლის სხდომა დახურულად გამოაცხადა.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს იურიდიულ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე: